

| გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს | | | |
|---------------------|------|-----|------|
| თვე | მან. | თვე | მან. |
| 12 | 10 | 6 | 6 |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შუარი

ივერი

გაზეთის დასაგეგმად და კერძო განცხადებით დასაბუღად უნდა მიჰმართოს: თეოდორ რიდაქიციას, ვუკიაში, ავეჯალის ქუჩაზე, უბანსა კარგულში; წერა-კითხვის სწავლის ცენტრში, სადაც ღობის კანცელიარის, სათავედ-სწავლო განყოფილების, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიტი.

1877—1893 **ს ა ზ ე თ ი ე ჲ და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი** 1877—1893

დაბეჭდა და ისყიდება
შინაური საქონელი
დ.
მისი გონიერი მოკლა-მოშენება.
აგ. რასტრამაშვილის მიერ.
გამოცემა
წეს-კითხვის გამოკ. საზოგადოებისა.
ფასი ერთი შუარი
(5—2)

კიდევ ჩვენს ახალგაზღვრებს
—
დღეს რუსეთში უოველის მხრიდან ერთი და იგივე საჩივარი ისმის. ამბობენ: ეხლანდელს განათლებულს ახალგაზღვრებს იდეალი არა აქვს და გომანზიდანვე იმას იტყვობენ და ანგარიშობენ, როგორი ალაგი ვიშოვნო, რომ მიმეტებულნი შემოსავალი მქონდესო. თუ ეს საზოგადო. საჩივარი მართალია და ახალ თაობის იდეალი ნამდვილად დამცირებულია, დანაშაული მთლად ეკუთვნის თითონ ამ მდრტვიზავ და მგოდებულ საზოგადოებას და არა მართლ ახალგაზღვრებს.
როდესაც მწერლობა მთელის ქვეყნისა, მეცნიერება და თითონ საზოგადო. აზრი ფრთებს შეიკვეცს და მაღალის სივრცეიდან ჩამოეშვება და ჭაბუბებში ნავარდს დაიწყებს, მაშინ განკერძოებით ახალ თაობისათვის ბრალდებითის ოქმის შედგენა და სასტიკის განაჩენის დადგენა: იგი დამცირდა და დაუძღურდაო, — უსაფუძვლოა და უსამართლოა.

თუ საზოგადო. რამ სენი არის, იგი არის უველასათვის, და ერთმა წრემ რა დააშავა, რომ იგივე იმავე სენით ავად არ ხდებოდეს? ჩვენის ცხოვრების ვითარება და პროგრესის მსვლელობა ბევრად დამოკიდებულია რუსეთის ცხოვრებაზე. ამიტომ, საგნები, რომელნიც გამოიწვევენ კამათობას და მსჯელობას რუსეთში, ჩვენშიც ისეთის ურუდებების დირსია, როგორც იქ.
ახალ თაობის მიმართ საუკუედურს, თუ რაიმე საფუძველი აქვს მოსკოვსა და პეტერბურგში—ამ ნაირივე საფუძველი უნდა ჰქონდეს ქუთაისსა და ტფილისშიაც, რადგანაც ჩვენი განათლებული ახალგაზღვრება, როგორც რუსეთისა, ერთსა და იმავე სასწავლებლებში სწავლობს და ერთისა და იმავე პროფესორების ხელმძღვანელობით იძენს მეცნიერებას.
ზოგი ეხლანდელ ახალგაზღვრების მიმართულებას პრაქტიკულს უძახის, ზოგი ეგოისტურს. ჩვენ არც ერთს სახელს არ ვარქმევთ, მხოლოდ ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალგაზღვრება საფუძვლიანად ჩაუფიქრდეს და ასწონას ისა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს რუსეთის განათლებულ თაობასა და ქართველ განათლებულ თაობას შორის.
რაც შეუძლიან და შექმვენიან დიდს ოჯახს, პატარა ოჯახი იმას ვერ აიტანს და ახირებულიც იქნება ასეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზედ პატარასაგან.
რუსეთს, როგორც დიდს და

დამოუკიდებელს სახელმწიფოს, უოველ წლებით შეუძლია ათასი და ათი ათასი განათლებული კაცი ისეთს საგნებს და განზრახვებს მოაწოდოს, რომელიც ერის ცხოვრებაში სრულიად არ არის არსებითი საგანი. მაგრამ ესვე არ შეუძლიან პატარა საქართველოს, რომელმაც ჯერ უოველ-დღიურ ვარაზედ უნდა იზრუნოს!
უოველის ქვეყნის და უოველის თაობის წმიდა მოვალეობაა შეისწავლოს თავის ერის აწმყო და წარსული, დაიცვას და განავითაროს სამშობლო ენა, ადადგინოს მოქალაქობრივი მხნეობა და გეთილი ჩვეულება ერისა, შექმაროს ზნეობის სიმდიდრე და კმაყოფილება, მაგრამ ეს მოვალეობა ერთი ასად უფრო საუკრადოდება ქართველ განათლებულის კაცისათვის, რადგანაც საქართველოს ყველა ესეები დიდად აკლია დღეს. ის ქვეყნის გონებითი დონე, რომელიც ჩვენ გვეზრდება უოველს წელს, სასურველია მიმართულ იქნეს ისეთს საგნების შესწავლაზედ, რომელსაც უფრო საჭიროებს დღეს ქართველი ერი.
ამ შემთხვევაში კურს-დასრულებულმა ახალგაზღვრებმა გონივრად უნდა განაწილოს საზოგადო. ას-პარეზი და არ მოხდეს ისე, რომ ერთ სკამზე დაჯდომას ათმა და ოცმა მოისურვოს?!
ქართველმა ახალგაზღვრებმა უნდა იცოდეს, რომ ქვეყნის არსებითის საგნების მცოდნე კაცები სჭირია ამ ქამად, ე. ი. ისეთი მომზადებული და განვითარებული სწავლულნი, რომელთაც შეეძლება ქვეყნის სი-

მდიდრის მომატება.
ეს სიმდიდრე დაცუელია ბუნებით მდიდარ საქართველოს ნიადაგში და ამ ბუნების შესწავლას უნდა მიჰმართოს ჩვენმა ახალ-გაზღვრებმა. სამსჯავროებში მჭევრ-მეტყველობით ქვეყნს არ გამოდიდრდება, და ვეჭობთ დიდად, რომ თითონ ავტორნიც ასეთის მჭევრ-მეტყველების უზრუნველნი შეიქნენ?
განათლებულს კაცს მხოლოდ თავის ცოდნისა და მარჯვენის იმედი უნდა ჰქონდეს. ვისაც თავისუფლად და სამშობლოსთვის გამოსადეგად ცხოვრება სურს, სხვის სახვეწად და სავედრებლად როდი უნდა გაიხადოს საქმე! დღეს-კი ჩვენმა განათლებულმა კაცებმა ან მართებლობას უნდა მიჰმართონ, ან საზოგადოებას, რომ თავი შეინახონ. არა გვგონია, რომ ასეთი მდგომარეობა სანატრელი იყოს?!
მეფილე

ახალი ამბავი

* * * ერთს ქართულის მწერლობის მოყვარულს, როგორც შევიტყუთ, განუზრახავს ცალკე წიგნად დაჰქულოს ყველა მოთხრობანი ბ-ნ შიო არაგვისპირელისა, სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში ფელეტონებად ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში.
* * * მოგვყავს ტფილისის მიხელის სამკურნალოს შესახებ ოფიციალური

ცნობები. 1892 წლის 1 იანვარისათვის საავთმყოფოში იყო 187 ავთმყოფი. ამ წლის განმავლობაში სამკურნალოში მისულა 2,612 ავთმყოფი, იმავე წელს გამოეწერა 2,044. აქედან საგიეთში გადაყვანილ იქნა 10. გარდაიცვალა 558. 1893 წლ. 1 იანვარისათვის დარჩა სამკურნალოში 187 ავთმყოფი. 1892 წელს გაღამდებ სენისაგან გარდაიცვალა: ხოლგით 137, ყვავილით—5, ხუნაგით—32, სახალით—2, წითელის ქარით—2, შავი სახალით—7, საოფლეით—5 და ყვანიით—11. საგიეთში 1892 წლის 1 იანვარისათვის იყო 71, წლის განმავლობაშიც მიიყვანეს 31, ამათში გადაიყვანეს სამკურნალოდგან 10, გამოიწერა—23, გარდაიცვალა 11 და 1893 წ. 1 იანვარისათვის დარჩა 78. ტფილისის საქალაქო უმთავრეს სამკურნალოში ამ 1893 წელს სულ 9,169 ავთმყოფი ყოფილა. ესენი საერთოდ 35,951 ჯერ მისულან სამკურნალოში. მოსიარულეთაგანს 5,524 ექვს-ექვსი შაური გარდაუხდია. უფასოდ 30,427 ყოფილა.
ავლობის სამკურნალოს განყოფილებაში წელს 1,769 ავთმყოფს უვლია. საერთოდ 4,920 ჯერ მისულან. ამათგან 472 ფასით და 4,460 უფასოდ. ხარფუხის სამკურნალო განყოფილებაში 1,810 ავად-მყოფი 4, 683 ჯერ მისულა, საერთოდ. ამაში 368 ფასით, 4,315 უფასოდ. ქალაქის სამკურნალოში და ყველა მის განყოფილებებში 325 კაცი სიფილისით და სხვა გადამდებ სენით ყოფილა ავად.
* * * გორის მაზრის უფროსმა მიჰ-

ფალეტონი
—
„ი ს“
გოუ-ჯე-მაზასანას
(ფრანგულით)
ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაშ ჩემის საქციელისა ვერა გაგიგია-რა? მეც არ ვამტყუნებ. შენაგონია გავგიელი განა? შეიძლება არც უიმისობა იყოს, მაგრამ შენ რო ჰფიქრობ, იმ მიზეზით-კი არა.
ჰო, იმას გეუბნებოდი, ცოლის ვირთავ-მეთქი.
მიუხედავად ამისა ჩემი აზრი და რწმუნება არ შემეცვლია, ისევ წინანდებური მაქვს: კანონიერი ცოლქმრობა სისულელედ მიმაჩნია.
ასეა თუ ისე, როგორცა ჰხედავ, არა ვხუმრობ და ცოლის ვირთავ.
იმასაც გეტყვი, რომ იმ ადამიანს, რომელიც ხვალ ჩემი მეუღლე უნდა გახდეს, სრულდებით არ ვიცნობ, არ ვიცნობ მის ხასიათებს, არ ვიცი ვრთმანეთს როგორ შევივითისებთ. მხოლოდ ოთხჯერ თუ ხუთჯერ მიწახავს. ვიცი, რომ არა მძაგს; ეს გარემოება სრულიად საკმაო—ჯვარი

დავიწერო. ჩემი საცოლე პატარა ტანისა, ქერა და ბუთხუზაა. ხვალ-ხვდგაგიებთ მომეწონება მაღალი, ტანადი და შეგვგრემანი ქალი.
კაცმა სიმართლე უნდა სთქვას,— მდიდარი არ არის: შუათანა შეძლების ღედ-მამის შვილია. ჩვეულებრივის შეძლების ოჯახებში ამისთანა ახალგაზღვრს, საცოლედ გამოსადეგარს ქალს, კაცი უოველს ნაბიჯზე შეხვდება; არც მისი ღირსება თვალში საცემი და არც ნაკლულევანება. ამისთანაზე დღეს ამბობენ: „ლაჟოლის ქალი კი ქალიაო!“ ხვალ კიდენ იტყვიან: „ჰო, რა კარგი/რამ არის ქალბატონი რეიმონისაო!“ ჰო, ჩემო კარგო, ჩემი საცოლე იმ გასათხოვარ ქალების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც გაიძახიან ხოლმე, „ენეტავე თქვენს ქმარსაო“, მანამდე შეიგებენ, რომ მათს არჩეულს ქალს ყველა სხვა ქალი სჯობიან.
— კაცო-და, თუ-კი აგრეა, ცოლს რალად ირთავ?—მეტყვი შენ.
სწორე გითხრა, მან მეძნელება, მაგრამ მაინც ვაგიმელანებ იმ საკვირველ და დაუჯერებელ მიზეზს, რომელიც მაიძულებს ეს სულელური საქციელი ჩავიდინო.
ცოლს იმიტომ ვირთავ, რომ მარ-

ტოდ-მარტო არ ვიყვე!
არ ვიცი, როგორ გითხრა, როგორ გაგაგებინო ჩემი ქცევა. სწორედ შეგეცოდები და შეგეზიზღები, როგორცა, თუ რა საცოდავს მდგომარეობაშია ჩემი გონება.
ლამით მარტოს დარჩენა არ შემიძლია. ჩემს გვერდით, ჩემს პირდაპირ მინდა ვინმე მყავდეს, მინდა ვინმე მელაპარაკებოდეს, რაზედაც უნდა იყოს,—სულ ერთია.
შემეძლება ძილი დაუფრთხობო, უცბად რამე ვკითხო; იმას არ დავდევ, თუ რასა ვკითხავ. მხოლოდ ხმა ვაფიგონო, ვგრძნობდეთ, რომ ჩემს ოთახში, ჩემს გარდა, სხვაცა სცხოვრობს; ვიცი, რომ სახლში ვინმე ფიზილობს, ფიქრობს; ვიცი, რომ, როცა უცბად სანთელს ავანთებ, ჩემს გვერდით ადამიანის სახეს დავინახავ. ამიტომ რომ... იმიტომ... (მრცხვენია, ღმერთმანი)... იმიტომ რომ, მარტო რომ ვარ, მეშინიან.
შენ ვერც ახლა გაიგებ.
რაიმე ხიათისა-კი არ მეშინიან. ვინმე რომ შემომიხტეს, არც-კი ვამაყროლებს, მაშინვე სიცოცხლეს ვაუფრთხობ. მოჩვენებისა არ მეშინიან; არც მკვდრებისა მეშინიან. კაცი რომ მოკვდება—გაჰქრება, მე-

რე არაფერი არ შეუძლიან!
ჰო! იმას გეუბნებოდი, იმას-მეთქი, რომ მე ჩემის თავისავე მეშინიან! შიშისა მეშინიან; იმისი მეშინიან, რომ ჩემი სული მოუსვენრალა და ამ გაუგებარ შიშის გრძნობისაგან ირევა.
გინდა დამცინე. ჩემი სენი-კი მაინც საზარელია, უკურნებელია. მეშინიან კედლებისა, ავეჯისა, სახელოახლო ნივთებისა, რომელნიც ჩემს თვალში, რალაც ცხოველებს ემგავსებიან. განსაკუთრებით ჩემის ფიქრების საზარელ არევ-დარევისა მეშინიან; მეშინიან ჩემის გონებისა, რომელსაც რალაც იღუმალი და უჩინარი ჰინა ჰლრდის, ჰქენჯნის, აფორიაქებს, ცეცხლს უქიდებს.
ჯერ რალაც გამოუთქმელ მოუსვენრობასა, წუხილსა ვგრძნობ; ეს მოუსვენრობა გონებაში მივლის და ტანში მარტოალებს. აქეთ-იქით ვიხედები.
— არაფერია! რალაც მინდა! რა? ისეთი რამ, რომ იმის ვაგება შემეძლოს, იმიტომ რომ, მხოლოდ იმიტომ მეშინიან, რომ არ ვიცი, რისა მეშინიან.
დავიწყებ ლაპარაკსა,—ჩემის ხში-სა მეშინიან! მივდივარ შინ—კარს

უკან დამალულ უცნობისა მეშინიან! ეს უცნობი ყოველგან მელანდება: ფარდას უკან, განჯინაში, ტახტ ქვეშ. ისიც ვიცი, რომ ჩემს ოთახში ჩემს მეტი არაფერია.
უცბად შემოვტრიალდები ხოლმე, იმიტომ რომ ვილაკ ჩემს უკან ატუ-ხულისა მეშინიან, თუმცა ვიცი, რომ იქ არაფერია.
გკრთი, ვგრძნობ, რომ შიში შემეტება; ოთახში ჩავიკეტავ თავსა; ლოგინში ვწვიბი და საბან ქვეშ ვიმალები; ვიკუნტები, ბურთივით ვგრვალდები, სასოწარკვეთით თვალებსა ვხუ-ქავ და რამდენსამე ხ მს ასე უძრავა-და ვარ; თანაც ვიცი, რომ მაგიდა-ზედ სანთელი ანთია და გაქრობა უნდა:—ვერს ვბედავ...
ასეთი ყოფა საზარელია, მაშ რა არი!
წინად ამ გვარს არასა ვგრძნობდი. ოთახში არხენად შემოვდიოდი, არხენადვე ბოლთასა ვსცემდი და სუ-ლის სიმვიდეს არაფერი ზირლევდა. ვისმე რომ ეთქვა—ერთს დღეს დაუჯერებელის შიშითა, ბრიყული-სა და საზარელის შიშით ავად გახ-დებო, —სიცოლს დავიწყებდი. ბნე-ლაში კარებს ვაბედავთ ვადებდი; ჩემ ნებისად ვწვიბოდი, კარებს არც-

მართა მთავრობას და სთხოვს ზოგადი სასოფლო საზოგადოებაში ხარჯის მოკლების წეს-რიგი შეიცვალოს. ამ უმად სოფლებში ხარჯს წელიწადში ორჯელა ჰკრეფენ: ნახევარს გაზაფხულზე და ნახევარს შემოდგომაზე. ასეთი წეს-რიგი ხარჯის მოკლებისა ძლიერ ცუდია მცხოვრებლებისათვის. ვიდრე გლეხი ნაჭირნახულევს გაჰყიდეს, ფული უჭირს და, რასაკვირველია, სესხულობს მოვასშებებისაგან. შემდეგ კი იძულებულია დიდ-ძალი სარგებელი გადაიხადოს.

მაზრის უფროსი სთხოვს მთავრობას, ხარჯი წელიწადში ერთხელ მოკლებოს, შემოდგომაზე დაო.

* კანონის ძალით, მაზრის პოლიცია მოვალეა სოფლებში საქირო სადუხინფექციო წამლები სოფლის ხარჯით იყიდოს. ტფილისის გუბერნატორს წარედგინა ამ წამლებისთვის სოფლებში მოკრებილ ფულის ანაზღაურება. ერთი მაზრის უფროსის ანაზღაურებანა სჩანს, რომ ამ წამლებისთვის ძლიერ ბევრი ფული მოკრებილია სოფლებში და, რადგანაც გლეხ-კაცს ისეც ბევრი ხარჯი აწევს, გუბერნატ. უბრძანა მაზ. უფროსებს, ეცადეთ, რაც შეიძლება, ნაკლები გაიღოს ხვედრს სოფლებსა წამლების სასყიდლად და ამასთანავე ხოლო ისეთი წამლები იყიდეთ სოფლის ფულით, რომელიც აუცილებლად საქირო იქმნებაო.

* 23 ივნისს სამწუხარო ამბავი მოხდა სოფელ მცხეთაში. ილია ბეგოვის სახლის პირდაპირ სოლომონ მდიდაროვის ცოლი, ახალგაზდა დედაკაცი, მტკვრის პირას აბანავებდა ხმოს, ჩავარდა წყალში და დაიარა. გვამი მეორე დღეს იპოვნეს. საბრალოს დარჩა სამი პატარა ყმაწვილი ობლად. ამ დედაკაცის უფროსი შვილი მტკვარამდე იმსხვერპლა ამ რამდენისამე ხნის წინად.

* 25 ივნისს რკინის გზის სადგურს ავქალაში რკინის გზის დარა-

ჯმა დათვო სუხოვა შეიპყრო 12 წლის ქალი, ტომით რუსი, რომელსაც თან მიჰქონდა შეკრული ბოხჩა, შიგ რამდენიმე შლიაპა, ფეხ-საცმელი და საცვლები აღმოჩნდა. ჰკითხეს? სად მიხვალა, დედინაცვალს ცუდად მემპყრობა და იმისთვის გავიბარეო. დარაჯმა ქალი ავქალის ლიანდაგის უფროსს მოხვედრის წარუდგინა. ქალი ჯერჯერობით იმასთან იმყოფება.

* სჯანთა: სვანეთში წრეულს მეტის მეტი შემოიღობაა, ლამის ხალხი გაწყდეს შიმშილით და ახალი მოსავალი ჯერ კიდევ შორს არის. ხალხის შეწუხებასა და შიმშილს ხელს უწყობს უგზობა. — წრევანდელი ზამთრისთანა სსტიკი და ხანგრძლივი ზამთარი სვანეთის მოხუცებულ მკვიდრთა არ ახსოვთ. ლატარის მწვერვალი, რომელზედაც გადადის სვანეთიდან ლეჩხუმში გზა, ჯერ ისევ შემოსილია თოვლ-ყინვით. ლატარის წვერს გადაღმა გზა მიჰყვება მდინარე ცხენის-წყლის ნაპირს. აქ ხიდები წყალმა მოიტაცა. ამიტომ, ვისაც ღონე აქვს იყიდოს როგორმე დღაური სარჩო, გადადიან ლეჩხუმში ფეხით, ოთხი-ხუთი დღე უნდებათ გზაში, მოიკიდებენ ზურგზე თითო-ორი ფუტის სიმინდს და ჰაპანწყევით მიაქვთ საცოდავებს, რომ დროზედ მიაწვდინონ დამშუფლ ოჯახობას და იხსნან შიმშილით სიკვდილისაგან, მაგრამ ასე ნაყიდი და ნაშრომი სარჩო გზაში ებნევათ ნახევარი. ამისთანა საცოდავ მგზავრებით სავსეა გზა სვანეთ-ლეჩხუმ შუა. ერთის სიტყვით, მეტი გაქიდრება არ შეიძლება, რაც ახლა სვანებს ადგია. საქიროა ყურადღება მიექცეს ამ საცოდავებს, სანამ უარეს მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ. მერე მთელი სვანეთია დამშუფლი და არა ერთი და ორი საზოგადოება. როგორც ამბობენ, ადგილობრივს უმადლეს მთავრობას ჯერ არა აქვს მოხსენებული სვანეთის დამშუფის ამბავიო.

ჯექი. მაშინათვე ფეხებში საშინელმა მოუთმენლობამ დამიბრინა; წამოვაცქი და ისევ სიარული დავიწყებ. მგონი ცოტა გამაცივა კიდევ, ამიტომ რომ ხელები ცხელი მქონდა. მერე უცბად სიცივემ ამიტანა. ვიფიქრე გარეთგან შემოსულ სიცივის ბრალია-მეთქი და ოთახის გათბობა მოვიხდომე. ცეცხლი დავანთე; იმ წელიწადს ცეცხლი პირველად დავანთებინე. ისევ დივჯექი და ცეცხლის აღს ცქერა დავუწყე. მაგრამ სკამზედ ვერ გაიჭირდი:—ვიგრძენ, რომ ჩემთვის საქირო იყო ქუჩაში გასვლა, წელში გასწორება, რომელიმე მეგობრის ნახვა.

გავედი. სამგან ვიყავი და არც ერთგან მეგობრები შინ არ დამხედნენ; მერე ბულვარზე დავიწყე სეირნობა—ეგებ იქ მაინც შევხვდემ ვისმე ნაცნობსა-მეთქი.

ჩემს გარეშე ყოველიფერი მოწყენილი იყო. დასველებულ ტროტუარებს ლაპლაპი გაჰქონდა. სიცივე, სიცივე მძაფრი, ძვალ-რბილი ში დაბობდა, ყინვლიან წვიმის დამძიმებული სიცივე გადასწოლოდა ქუჩას, თითქოს სცდილობს მოღალის და გააქროს გაზის სინათლეო.

ფეხებს ნელა-ნელა მივადგამდი და თან ვივიარებდი: ტყუილად დავ-

* ს. ნორია (ტფილისის მაზრა): 24 ივნისს შესანიშნავი დღე იყო ჩვენთვის. ადგილობრივის ეკლესიის დღეობას იგალობეს ქალებმა ნადიროვისა, მანსვეტოვისა და ჩილაშვილისამ. ეკლესიასავსე იყო ხალხით. გალობის მშვენიერ კილომ და შეწყობილმა ხმებმა დიდად ასიამოვნა მლოცველნი. წირვის შემდეგ ყველანი ამობდნენ: ბედნიერები ვიქნებით, რომ ესეთი გალობა გავიგონოთ ხოლმე ეკლესიაშიო. დიდის მადლობის ღირსია მამა ვასილი კარბელაშვილი რომელიც აგრცელებს გალობას.

* «Этнографическое Обзорье»-ს უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია «Смѣсь»-ის განყოფილებაში შემდეგი წერილები ბან ა. ხახანაშვილისა: Закавказские молоко-не-прыгуны და Грузинская пѣсня сказанія о Поликратовомъ перстнѣ.

* «Нов. Обзор.»-ს შეუტყვიან, განკარგულება მოხდენილი, რათა სიმეზ-გრივარიანთა სასულიერო წოდებამ რუსულს ენაზედ აწარმოოს მიწერ-მოწერა სასულიერო მთავრობასთანაო.

გაბერით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასავანისა, რუსთაველი

დიდის გულ-დადებით წავიკითხე პატრივკემულის დიმიტრი ერისთავის ბაწია მოთხრობა «სოფლას მასწავლებელი» (ამა წლის „ივერი“ მე-80 და 81 №№). ავტორს, ეტყობა, კარგად შეუწავლია აუტანელი მდგომარეობა სოფლის მასწავლებლისა, მისი ათას-გვარი გაჭირვება და განსაცდელი. მისი მრავალ ფერი ქარ-ცეცხლი ცხოვრებასთან ბრძოლისა. უცეცხლობა, უსინათლობა, უსაქმლობა, სიტუტლე, არა თანაგრძობა,

დივარ, სალაპარაკოდ აქვერავის შევხედები

მადლენის ეკლესიიდან მოყოლებული პოასონიეს უბნამდე რაც ყავანანებია, ყველგან შევიხედე. მხიარულად არაფერ იყო; ყველანი, ვინცკი მაგიდას უსხდნენ, ვახშამს ისე შეექცეოდნენ, თითქოს ჰამის ილაჯი გასწყდომიათო.

დიდხანს ვხეებე; შუალამისას სახლისაკენა ვქენი პირი. ძან-კი დავმშვიდდი, მაგრამ ამასთან საშინლად მოშლილი ვიყავ. მეკარემ, რომელიც, ჩვეულებრივ, თერთმეტ საათზედა წვება ხოლმე, ზარს ჩამოვკარ თუ არა, მაშინვე კარი გამიღო; „აღობად სხვა მდგმურსაც დაჰკვიანებია ჩემსაებ, რომ მეკარეს ჯერ ისევა ღვიძავს-მეთქი“, ვიფიქრე.

როცა მივიღივარ სადმე, კლიტეში გასაღებს ორჯელ გადავატრიალებ ხოლმე. ახლა-კი კარი მიხურული დამხვდა. ვიფიქრე, შეიძლება სალამოზე ოთახში წერილები რამ შამოიტანეს და კარები მაშინ დარჩათ დაუქეტავი.

შევედი. ცეცხლი ისევ ერთო და, ცოტა არ იყოს, ოთახს სინათლესაცა ჰფენდა. ხელში სანთელი ავიღე და ცეცხლთან ასანთებლად მივიტანე. ამ დროს დავინახე, რომ ჩემს

არა გამხრევა, წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ ათას წლებული წყვილი და ამ წყვილადთან მებრძოლი ერთად-ერთი კაცი—სოფლის მასწავლებელი. ვკონებ, დამეთანხმება მკითხველი, რომ შეგმა ასეთს უღელში და შემდეგ ატანა და გაძლედა ამ უღლისა დიდი თავ დედება, დიდი სულიერი და ხორციელი გმირობაა. ამიტომაც, ვისაც სურს ჩვენ თვალწინ დაასურათ-ხატოს სოფლის მასწავლებელი თავის უტყუარის სიცხადითა და სინამდვილით, მან ყველაზე უწინ უნდა ანუხსოს გონებრივი ავლა-დაღება, სულიერი ძალ-ღონე, ზნეობრივი შეძლება, რწმენა და მისწრაფება იმ კაცისა, რომელსაც სოფლის მასწავლებლობას აკისრებინებს. სამწუხაროდ ჩვენდა, დიმიტრი ერისთავმა თავის მოთხრობაში ამ მხარეს სრულიად აუტყია გზა ზნეობრივად ამისა დაწვრილებით გვიამბო, თუ როგორი უკუღმართი, ბუნების წინააღმდეგი ფეხები ჰქონდა მათეს (სოფლის მასწავლებელს), როგორ ამღერებდა შეგარდებს „ЖИЛЬ-БЫТЬ У БАБУШКИ СЪРЕНЬКІЙ КОЗЛИКЪ“-ს და სხვ. შემდეგ ავტორი პირდაპირ გადადის მათეს გაჭირვებაზე. დიდის ხელოვნებით აღწერილია იმისი გალიის ოდენა, ფარალალა ოთახი, უცეცხლო ბუხარი, დაგლეჯილ-დაფლეთილი საპან-ლეიბი, გამწვირიანებული, უპირო ბალიში, მრავალ ალაგას დაკერებული შალის პიჯაკი, პარუსინის შარვალი (სუსხიან ზამთარში), ამმარებული ღვინო, გამხმარი მქაღი, ცივი ლობიო და სხვა და სხვ. ერთის სიტყვით, რაც შეეხება ნივთიერ გაჭირვებას სოფლის მასწავლებლისას, უკეთესად აღწერა ძნელი მოსახერხებელია. მაგრამ ერთი შეცდომა აქაც მოსვლია პატრივკემულ ავტორს. მოთხრობაში ერთი სიტყვაც არ არის დახარჯული იმის შესახებ, თუ რა ზნეობრივი გაჭირვება, რა სულიერი განსაცდელი დააღა ასეთს ვითარებაში ჩავარდნილ მათეს. სოფლის მასწავლებლის ცხოვრებაში-

სელში ვიღაც ჩამჯდარა და ფეხებს ითბობს, ზურგი-კი შემოქცეული ჰქონდა.

... არ შემშინებია, არა, ღმერთმანი, იოტის ოდენაც არ შემშინებია. მაშინათვე ის ვიფიქრე,—ჩემ სანახავად თუ მოსულა მეგობარი-მეთქი. რო მივიღიდი, მეკარეს დავუბარე, მალე დავბრუნდები-მეთქი. ისიც, უეჭველია, ეტყობა—სადაც არი მოვა, მანამ მის ოთახში მიბრძანდითა და იი გასაღებიცაო. ერთბაშად ჩემის მოსვლის გარემოება ისევ გავითვალისწინე: მეკარისაგან უცბად კარის გაღება, ჩემის ოთახის დაუქეტავი კარი.

ჩემს მეგობარს, რომლის მხოლოდ თმას ვხედავდი, ჩემს ლოდინში კიდევ დასძინებია. წინ წავდეგ—უნდა გამეღვიძებინა. ცხადად ვხედავდი: ცალი ხელი მარჯვნივ გადაჰკიდებოდა, ფეხები ერთი-მეორეზე დაედო, თავი სელის მარცხნივ ოდნავ ჩამოქინდული ჰქონდა.—ეტყობოდა, ჩასძინებოდა. ვეკითხები ჩემს თავს: რა ექნა, ვინ უნდა იყოს? ამასთან, ოთახში თითქმის ბნელოდა, ხელი გავაწოდე—მინდოდა მხრებზედ მომეკიდინა!...

ხელში სელის ხე შემჩრა! შიგ არაფერ იჯდა. სელი ცალიერი იდგა!

კი ზნეობრივ გაჭირვებასთან, სულიერი განსაცდელთან ერთობა უფრო ღირსია აღწერისა, ვიდრე სათითაოდ ჩამოთვლა ნივთიერ-სითხეებისა.

რათა არა გავგივტელდეს ეს მცირე შენიშვნა ამ საყურადღებო მოთხრობის შესახებ, უნდა ვსთვქათ, რომ გმირი მოთხრობისა, მათე, სიბრალულს უფრო გამოიწვევს მკითხველისას, ვიდრე თანაგრძობას. ესეც არ იქნებოდა, რომ მათე სკოლაშივე, გაკვეთილის დროს არ განუტევედეს სულს. მათე შეგირდებს მაგალითისათვის „ტყეს ესმება ფოთოლს“ უკითხავს, მაგრამ ვეღარ დაასრულებს, რადგანაც საზარელი სენი იქვე უსპაზს სიცოცხლეს. ღმერთმა განუსვენეს! ხოლო თუ დალოცვილმა ეს მშვენიერი ლექსი ისე კარგად იცოდა და მისი აზრი ისე ნათლად ჰქონდა შეგნებული, „СЪРЕНЬКІЙ КОЗЛИКЪ“-ს რატომ „აღმუიფებდა“ შეგირდებს!!

საზოგადოდ მათე ისეთ ნაირად არის აღწერილი, რომ მკითხველმა არ იცის, რა საერთო და საზოგადო საქმე ჰქონდა მას სკოლასთან, რწმენამ და მისწრაფებამ გამოიყვანა ამ ასპარეზზე, თუ ასმა მანეთმა, რომელიც ჯამაგირად ეძლეოდა. თუ ეს საქმე არა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორსავე ფეხით კოჭლ მათეს ასის მანეთის ნახევარსაც არაფერ მისცემდა, რადგანაც არ ვიცით, რამდენად მომზადებული იყო ცხოვრებისათვის. მართალია, ერთს აღაგას ავტორი გვეუბნება: „მათეს აღარაფერი ახსოვდა ქვეყანაზედ, გარდა პატარა ქმნილებათა, რომელთა გულის გაწმენდა და გონების განათლება ვალად აედლოსო“; მაგრამ განა მარტო ეს კმარა იმის საბუთად, რომ მათე პირ-ნათლად უძლებოდა ნაკისრ ვალს! ვიდრე ამას გვეტყოდნენ, საქირო იყო გვეცოდნოდა ამ მძიმე და პასუხ-საგების ვალის ამღები თითონ რა გვარის გულის სიწმინდით და გონების განათლებით იყო შეიარაღებული.

ჩემის აზრით ყოველად საქირო და სასურველი იყო ავტორს, მათეს მა-

დალახვროს ღმერთმა ეშმაკი და ჯაჯი, რა ქირის ოფლმა დამახსია! პირველში უკან დავიხიე, თითქოს, ეს არი, რალაც გულ-შემზარავი უბედურება თავს უნდა დამატყდეს-მეთქი.

მერე უკან გამოვტრიალდი, ვგრძნობდი, რომ ზურგს უკან ვიღაც ამტუზვია. სელის ნახვა ისევ მომინდა, მაგრამ ახლოს მისვლა არ უნდოდა? მთელი ჩემი არსება შიშმა მოიცვა; ისე დავიბენი რომ თავში წამლად ერთი აზრიც არ მომდიოდა; ის-ის იყო, უნდა წავტყეულვიყავ. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გულ-მაგარი კაცი ვარ და გონება მოვიკრიფე. ვიფიქრე: რისა შემეშინდა, გალუცინაცია თუ იყო-მეთქი და ამ მოვლენის მიზეზის ძიებას შევეუდექი. ამისთანა დროს აზრები ერთი-მეორეს ებმის თავისით.

დიაღ, გალუცინაცია იყო,—ექვიარ არის. გონება ნათელი მქონდა, რიგზე და ლოღიკურად მუშაობდა. მაშასადამე, ტვინს არა დამავებია-რა. მხოლოდ თვალეში მოსტყუვდა, თვალეში მოატყუა ჩემი გონებაცა. მარტო თვალეში მოვლანდა რალაცა, ერთი იმ ლანდ-ნაგანი, რომლის დანახვაზედაც გულ-უბრყვილო ხალხი სასწაულს იჯერებს.

